ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

16 ივნისი 2025

N150189

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს "ბაზელი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 დეკემბრის N077050 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით. კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება. სუბიექტის მიერ ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება. სუბიექტის მიერ ზედიზედ ორ საანგარიშგებო პერიოდში ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ იგი დააჯარიმოს აგრეთვე საწარმოს კატეგორიისთვის განსაზღვრული ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) 58–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) 22[1] მუხლის მე–2 და მე-3 პუნქტების თანახმად სამსახური ინფორმაციას/დოკუმენტს სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უგზავნის ან/და წარუდგენს მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით. ინფორმაციის/დოკუმენტის გაგზავნის ფორმას ირჩევს სამსახური. ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან სხვადასხვა ფორმით წარდგენის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად მიიჩნევა ამ დოკუმენტის სუბიექტისთვის/პირისთვის/აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის პირველად ჩაბარების თარიღი. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N4206-XIVმს-Xმპ; 29/05/2024; ს/კ 260000000.05.001.102279) ამოქმედებამდე (გამოქვეყნების წყარო ვებგვერდი, 14/06/2024) მოქმედი ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ინფორმაცია/დოკუმენტი სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ელექტრონული ფორმით წარედგინება ელექტრონული ფოსტის ან/და ანგარიშგების ვებგვერდის (www.reportal.ge) მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე.

სამსახურის სისტემაში დაცული მონაცემებით დგინდება, რომ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის, შპს „ბაზელი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204469707) წარმოადგენდა III (მესამე) ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2023 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ამოიწურა ანგარიშგების წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, სამსახურმა დაადგინა, რომ შპს „ბაზელის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204469707) მიერ ადგილი ჰქონდა კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი დარღვევას - ანგარიშგების წარუდგენლობას.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის მიზეზით, შპს „ბაზელის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204469707) მიმართ მიღებულ იქნა „შპს „ბაზელი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 8 ნოემბრის N076235 ბრძანება წერილობითი გაფრთხილების გამოყენებასთან დაკავშირებით.

2023 წლის 8 ნოემბერს სამსახურმა N16/88166 წერილით მიმართა სსიპ - შემოსავლების სამსახურს, საწარმოებისთვის სავალდებულო შეტყობინების ფორმატით ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებისა და შემდგომ სანქცირებასთან დაკავშირებით, გამაფრთხილებელი შეტყობინების გაგზავნის თაობაზე. სამსახურმა აღნიშნული შეტყობინებით გააფრთხილა, მათ შორის - შპს „ბაზელი“, რომ მას ევალებოდა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენა, ანგარიშგების პორტალზე. ასევე, შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევაში, სამსახური განახორციელებდა საწარმოს დაჯარიმებას. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა შეტყობინების გაგზავნა შპს „ბაზელის“ მხრიდან მისი გაცნობა, დასტურდება 2023 წლის 14 ნოემბერს სავალდებულო შეტყობინების წაკითხვით სსიპ - შემოსავლების სამსახურის სისტემაში.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობისა და სამსახურის მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 თვის ვადაში შესაბამისი მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზით, 2023 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა „შპს „ბაზელი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის N077050 ბრძანება და საწარმოს კანონის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დაეკისრა სანქცია 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით, სუბიექტს დაევალა ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ატვირთვა, ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. აღნიშნული ბრძანებას სუბიექტი ანგარიშგების პორტალზე გაეცნო 2025 წლის 11 აპრილს. აღსანიშნავია, რომ

სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 დეკემბრის N077050 ბრძანებით დაკისრებული - თანხა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით, საწარმოს მიერ არ არის გადახდილი.

ხაზგასასმელია, რომ საწარმო „შპს „ბაზელი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 8 ნოემბრის N076235 ბრძანებას (წერილობითი გაფრთხილების გამოყენებასთან დაკავშირებით) ანგარიშგების პორტალის საშუალებით გაეცნო 2025 წლის 11 აპრილს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ - კოდექსი) 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. კოდექსის 60^1 მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა: ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან.

აღსანიშნავია რომ, 2025 წლის 14 მაისს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საბჭოს N39228-16 წერილით სამსახურში წარმოდგენილ იქნა, შპს „ბაზელის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204469707) საჩივარი (რეგისტრაციის ნომერი: 71947/01, თარიღი: 08.05.2025 წ.), რომლითაც საჩივრის ავტორის მიერ მოთხოვნილ იქნა, მათ შორის „შპს "ბაზელი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 დეკემბრის N077050 ბრძანების (ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით) ბათილად ცნობა.

გასათვალისწინებელია სამსახურის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საბჭოს, 2024 წლის 30 ივლისის N20 16 გადაწყვეტილებაში, ზემოაღნიშნული საფუძვლით განხილული სხვა დავის ფარგლებში გაცემული განმარტება, კერძოდ: „საბჭომ ვერ გაიზიარა სამსახურის წარმომადგენელთა პოზიცია, რომლის თანახმად სამსახურის ოფიციალური მიმართვისა და დავალების საფუძველზე სუბიექტებისთვის შემოსავლების სამსახურის სისტემის სავალდებულო შეტყობინებების საწარმოს მიერ გაცნობა მიჩნეულ უნდა იქნეს სამსახურის აქტების ოფიციალურ გაცნობად“, საბჭომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ „წერილობითი გაფრთხილების მიცემის პირობებში, პარალელურად ჯარიმის გამოყენების თაობაზე სამსახურის პოზიცია ასევე ეწინააღმდეგება ერთი და იმავე ქმედებისთვის ორმაგი პასუხისმგებლობის დაკისრების დაუშვებლობის კონსტიტუციურ პრინციპს (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი)“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურმა დამატებით გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და დაადგინა, რომ „შპს "ბაზელი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 8 ნოემბრის N076235 ბრძანებას (წერილობითი გაფრთხილების გამოყენებასთან დაკავშირებით) სუბიექტი ანგარიშების ვებგვერდზე გაეცნო 2025 წლის 11 აპრილს, ხოლო „შპს "ბაზელი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის N077050 (ჯარიმის დაკისრებასთან დაკავშირებით) ბრძანება გაცემულ იქნა 2023 წლის 22 დეკემბერს. ამდენად, სამსახურმა საქმისათვის არსებითი გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნია „შპს „ბაზელი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 დეკემბრის N077050 ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის (იურიდიული დეპარტამენტი) ხელმძღვანელის 2025 წლის 9 ივნისის N48455-16 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი „შპს „ბაზელი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2023 წლის 22 დეკემბრის N077050 ბრძანება, მისი ძალაში შესვლის დღიდან;

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური